ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4/18

2021 წლის 30 ივნისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე 18.88 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.510) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეგიონალური საკომუნიკაციო ოფისისათვის" უზუფრუქტის უფლების შეწყვეტასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე 18.88 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.510, მესამე სართული) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, რომელიც თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის, 2013 წლის 20 ნოემბრის, №540 ბრძანების საფუძველზე (ბრძანების გამოცემისას საკადასატრო კოდი იყო 04.02.08.082.01.03.511) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეგიონალური საკომუნიკაციო ოფისისათვის" (ს/კ 415088844).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე 18.88 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.510, მესამე სართული) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეგიონალური საკომუნიკაციო ოფისისათვის" უზუფრუქტის უფლების შეწყვეტასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ამ კანონითა და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე 18.88 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.510, მესამე სართული) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეგიონალური საკომუნიკაციო ოფისისათვის" უზუფრუქტის უფლების შეწყვეტასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე 18.88 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.510,

მესამე სართული) უზუფრუქტის უფლება შეუწყვიტოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ,,თვითმმართველი ქალაქის-ფოთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეგიონალური საკომუნიკაციო ოფისს“ (ს/კ 415088844).

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2021 წლის 30 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბექა ვაჭარაძე**